

2018 წლის ბათუმის თასი

ფიგურულ სლალომში

ტექნიკური მოთხოვნები

1. დასაშვები ავტომობილები

1.1 ბათუმი 2018 წლის თასი ფიგურულ სლალომში ტარდება „სამოყვარულო“ და „პროფი“ კლასში.

1.2 სამოყვარულო კატეგორიაში მონაწილე ავტომობილი უნდა წარმოადგენდეს მწარმოებლის მიერ სერიულად წარმოებულ მოდელს და აღჭურვილი უნდა იყოს ქარხნული, ან ისეთი დეტალებით, რომელიც სერიულად იწარმოებოდა კონკრეტული მოდელის ავტომობილისთვის.

1.2 „პროფი“ კატეგორიაში დაიშვებიან მსუბუქი ავტომობილები, რომლებსაც აქვთ გაკეთებული გარკვეული მოდიფიკაცია სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის (დრიფტი, ტაიმ - ატაკი და ა.შ.) ასევე დაიშვებიან პროფესიონალური საავტომობილო სპორტის სახეობისათვის მომზადებული ავტომობილი სსსფ-ს ტექნიკური სპორტული პასპორტით. ნებისმიერ ავტომობილს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი.

2. დაუშვებელი ავტომობილები

2.1, მოყვარულთა კლასის შეჯიბრზე არ დაიშვება ავტომობილი რომელსაც არ აქვს სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი და მინიმუმ არ აკმაყოფილებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სახელმწიფო სტანდარტებს.

2.2 მოყვარულთა შეჯიბრზე არ დაიშვება ავტომობილი რომელსაც ხელოვნურად გაზრდილი აქვს მოხვევის კუთხე და სტანდარტული ხელის მუხრუჭის ნაცვლად აღჭურვილია ჰიდრო მუხრუჭით, ასეთი ავტომობილი ავტომატურად მოხვდება პროფ-კლასში.

3. საბურავი

თუ ავტომობილი აღჭურვილია სლიკის და ნახევრად სლიკის ტიპის საბურავით, მაშინ ასეთი ავტომობილი ავტომატურად მოხვდება პროფ-კლასში.

„რალი ქლავ ჯორჯის“ (RCG)

ადმისტრაცია.

16 ივლისი 2018